saqarTvelo
aWaris avtonomiuri respublikis janmrTelobisa
da socialuri dacvis ministri

q. baTumi **”28 ” oqtomberi 2013 w.**

brZaneba #12/127

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით
მოთხოვნის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის, 40-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,მ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესი თანახმად დანართისა;
2. სამინისტროს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (ი. მახარაძე) უზრუნველყოს ბრძანების დადგენილი წესით გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ერთი თვის ვადაში (მის.: ქ. ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №9) და შემდეგ ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №30), კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მ ი ნ ი ს ტ რ ი ნუგზარ სურმანიძე

„დამტკიცებულია”
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 ოქტომბრის
№12/127 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (შემდეგ - სამინისტრო) საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესი განსაზღვრავს სამსახურში არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის ზოგად პირობებს.

2. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა ხდება დაინტერესებული პირის მიერ სამინისტროს ელექტრონულ რესურსზე (სამინისტროს ვებგვერდზე - www.molhs.gov.ge) წერილობითი განცხადების წარდგენის გზით.

3. განცხადება ელექტრონული ფორმით უნდა გაიგზავნოს სამინისტროს ვებგვერდზე.

4. განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ფიზიკური პირის შემთხვევაში: განმცხადებლის სახელს, გვარს, პირად ნომერს (თერთმეტნიშნა), ტელეფონის ნომერს;

ბ) იურიდიული პირის შემთხვევაში: ორგანიზაციის დასახელებას; იურიდიულ მისამართს; ტელეფონის ნომერს; ხელმძღვანელი პირის სახელს და გვარს.

5. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე ამ წესის მე–4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევით წარმოდგენილ ელექტრონულ განცხადებას სამინისტრო არ განიხილავს;

6. თუ სხვა წესი არ არის დადგენილი, სამინისტროს ვებგვერდზე შემოსული ელექტრონული განცხადება რეგისტრირდება სამინისტროს საქმისწარმოების განყოფილებაში. განცხადება რეგისტრაციის შემდეგ გადაეცემა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც უზრუნველყოფს მის გაცემას კანონმდებლობის დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

7. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით” გათვალისწინებული ვადების ათვლა დაიწყება მოთხოვნის ელექტრონული მიღებიდან მეორე სამუშაო დღეს.

8. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ ელექტრონულ საფოსტო მისამართზე გაგზავნის საშუალებით.

9. თუ მოთხოვნილი ინფორმაციის მოცულობიდან გამომდინარე შეუძლებელია ინფორმაციის ელექტრონულად გაგზავნა სამინისტრო აღნიშნულის შესახებ აცნობებს განმცხადებელს და მისი თანხმობის შემთხვევაში ინფორმაციას გასცემს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.